საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2586 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ნოემბრის №2168 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ნოემბრის №2168 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის მუნიციპალიტეტებს

გამოუყოს არა უმეტეს 3 310 000 (სამი მილიონ სამას ათი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 712 000 (შვიდას თორმეტი ათასი) ლარისა;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 885 000 (რვაას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

გ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარისა;

დ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ე) ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 414 000 (ოთხას თოთხმეტი ათასი) ლარისა;

ვ) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარისა;

ზ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 326 000 (სამას ოცდაექვსი ათასი) ლარისა;

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ი) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 86 000 (ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**